სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანის საჯარო სკოლა

სკოლის დირექტორი: *რომანი კვაშილავა*

გიწვევთ ზეიმზე

ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა

14 აპრილი „დედაენის“ დღეა!

ჩვენ კარგად ვიცით სიბრძნე ნამდვილი,
შენს წმინდა წიგნში ამოქარგული;
თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი,
გულში გაკლია ცეცხლი ქართული.

ჩვენ კარგად ვიცით აზრი ხალასი,
რაც გვიანდერძა წიგნმა ნათელმა:
თუ დედაენით შვილებს არა ზრდი,
თავი ტყუილად მოგაქვს ქართველად.





აი წიგნი, აი დედა,
აი, ენა ქართული

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანის საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ ჩატარდა ქართველთა პირმშოს - 27 საუკუნის წინ შექმნილი ანბანის -

დედაენისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

●ზეიმს ესწრებოდნენ სკოლის III და IV კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები.

● მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მინი- ლექციით დამსწრე საზოგადოებას მოახსენეს: აკვნის ჰიმნის, სამარის ცრემლის, იბერის, თამარის, რუსთაველის ენის, ქართველთ სუნთქვის, ჩვენი ჭირთა და ლხინთა მალამოს... --- *ქართული ენის* --- როგორც უძველესი დამწერლობის მიერ კატაკლიზმების გამოვლის და ჩვენამდე მოღწევის გზებსა და საშუალებებზე.

●ერთმანეთს ენაცვლებოდა: ლექსის მხატვრული კითხვა, გამონათქვამების გაჟღერება ენის მნიშვნელობასა და სიწმინდეზე, ქართველი თუ უცხოელ მწერალთა და მოღვაწეთა გამონათქვამების გახმოვანება.

●დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო იმ გმირების ნათელ ხსოვნას, ვინც უანგაროდ ემსახურებოდა,წვლილი შეიტანა და საკუთარი სიცოცხლე დათმო - ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების საქმეში. ხაზი გაესვა ნებისმიერ საზოგადოებაში გმირობის მნიშვნელობას მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა- გაზრდის დიდ საქმეში.

● ხაზი გაესვა ენის არსებობის დანიშნულებას, მისი დაცვის საქმეში საკუთარი წვლილის შეტანას თანამედროვე საზოგადოებაში.

გამონათქვამები დედაენაზე

- „*დედა, ენა, ერთია, დედაენა ღმერთია*“
- წიგნი-კაცობრიობის უდიდესი გონებით შექმნილი განძი!
- წიგნი ადამიანისათვის მზის ამოსვლის ტოლფასია.
- მაგრამ მზის სხივი ადამიანს დღე -ღამის განმავლობაში შეიძლება რამოდენიმეჯერ დაემალოს.
- წიგნის სხივი კი მის გონებას არ მოსცილდება მთელი ცხოვრების მანძილზე.
- „დედა ენა” ყოველი ჩვენგანის პირველი წიგნია.
- იაკობი ბავშვებში შეუცნობელის შეცნობის წყურვილს აღვივებდა და ქართული ანბანის შესასწავლად განაწყობდა.
- „“*დედაენა, სიბრძნის წიგნი, მოჩუხჩუხე ცხრა წყარო,..*

  აი ია, აი თითი, აი მთელი სამყარო! „“

ენავ დედაო!

„ქართული მარტო ენაა,
ქართული ქართველთ რწმენაა,
ღმერთია,
ბედისწერაა,
ზღვა როა იმოდენაა“

„მარამ შენ, უჭკნობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?!“

და ბოლოს

მას, ვინც ვერ გრძნობს დედაენის 27 საუკუნიანი ტრადიციების დუღილის ტემპერატურას @ გულისცემას დამეთანხმებით,

„თავი ტყუილად მოაქვს ქართველად!“

გმადლობთ ყურადღებისათვის